Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#31, თებერვალი, 2026

საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილებათა შედარებითი ანალიზი

ნატალია ბერიანიძე

მარიამ შენგელია

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: natalia.berianidze967@sps.tsu.edu.ge

E-mail: shengeliamariami314@gmail.com

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასია წარმოადგენს გეოპოლიტიკურად სენსიტიურ რეგიონს, სადაც მცირე სახელმწიფოები მუდმივად ადაპტირებენ საკუთარ საგარეო პოლიტიკას გლობალურ ძალთა ინტერესების მიხედვით. სომხეთი და საქართველო, როგორც საერთო ისტორიული და საბჭოთა მემკვიდრეობის მქონე მცირე სახელმწიფოები, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან არჩეული პოლიტიკური კურსით პოზიციონირებდნენ. საქართველოს საგარეო პოლიტიკა ორიენტირდებოდა დასავლურ ინტეგრაციაზე. სომხეთისთვის კი პრიორიტეტად დარჩა უსაფრთხოების უზრუნველყოფა რუსეთის ფედერაციასთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გზით.

წინამდებარე კვლევა შედარებით ჭრილში აანალიზებს ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ტრაექტორიის ევოლუციას იმ შიდა და გარე ფაქტორებს, რომელთაც ტრანსფორმაცია გამოიწვიეს. კვლევისთვის მნიშვნელოვანია შიდა და გარე აქტორების გავლენა საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკურ არჩევანსა და კურსის ფორმირებაზე.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიაში საგარეო პოლიტიკური ორიენტაციების ცვლილება მიმდინარეობს. საქართველო და სომხეთს შორის კი საპირისპირო დინამიკა არსებობს. საქართველოს შემთხვევაში შეინიშნება გადახრა თვითიზოლაციური კურსისკენ - ხელისუფლება თვლის, რომ აწარმოებს პრაგმატულ პოლიტიკას. სომხეთში საპირისპირო დინამიკაა - ქვეყანა ცდილობს გააფართოოს ურთიერთობები ევროკავშირთან და დასავლურ ინსტიტუტებთან.

კვლევა ასკვნის, რომ საგარეო პოლიტიკური კურსების ცვლილება უკავშირდება ელიტების მიერ უსაფრთხოების აღქმის ტრანსფორმაციებსა და რეჟიმის გადარჩენის მოტივებს საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციის პირობებში და აღნიშნული ხშირად სცილდება გეოპოლიტიკური დეტერმინიზმის ჩარჩოებს.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია; საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია; ნეოკლასიკური რეალიზმი; საქართველო; სომხეთი.

შესავალი

სამხრეთ კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ გეოპოლიტიკურ ლაბირინთს. რეგიონი, რომელიც ჩამოყალიბდა დიდ ძალათა კონკურენციის სივრცედ, დღემდე მაღალი უსაფრთხოების რისკებს ინარჩუნებს, ხოლო მცირე სახელმწიფოთა გადარჩენის სტრატეგიები მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის. სომხეთისა და საქართველოს მაგალითი საინტერესოდ განსახილველია, რადგან ორივე ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ცდილობდა საკუთარი უსაფრთხოებისათვის განსხვავებული პოლიტიკური კურსის მოდელების ჩამოყალიბებას.

საქართველოს პოლიტიკური ვექტორი მიმართული იყო დასავლეთისაკენ, აქცენტით ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციაზე. აღნიშნული, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო უსაფრთხოების, აგრეთვე იდენტობის ფაქტორის გამო. საქართველო საკუთარ თავს დასავლური პოლიტიკური სივრცის ნაწილად აღიქვამდა და საკუთარ პოლიტიკურ კურსსაც ევროპულ ოჯახში დაბრუნების იდეით ახორციელებდა. საქართველოს პოლიტიკური ელიტისთვის ევროატლანტიკური ინტეგრაცია ბევრად მეტი ფასეულობით გამოირჩეოდა, ქვეყნის უსაფრთხოების გარდა გარანტიის გარდა. ,,ევროპული იდენტობა, ასევე ევროატლანტიკური ინტეგრაციის საშვია, რაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში“ (Kakachia et al., 2015).

სომხეთის შემთხვევაში კი ვხვდებით განსხვავებულ სტრატეგიულ არჩევანს. უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონცეფცია სომხეთისთვის დაკავშირებული იყო რუსეთის ფედერაციასთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობასთან. სომხეთის ელიტას ,,უსაფრთხოების დილემის” გადაჭრა მხოლოდ რუსეთთან პარტნიორობით ესახებოდა. რუსეთი იყო აღქმული, როგორც გადარჩენის ერთადერთი გარანტი თურქეთ-აზერბაიჯანის ალიანსის პირობებში. ნერსეს კოპალიანი საკუთარ სტატიაში სწორედ სომხეთ-რუსეთის ურთიერთობას ეხმიანება ,,სამი წლის განმავლობაში, სომხეთი, რომელსაც ჰქონდა პოტენციალი ყოფილიყო დამოუკიდებელი რეგიონალური აქტორი სტრატეგიული ბუნდოვანებითა და ინტერესების მრავალფეროვნებით, რუსეთის ვასალად იქცა” (kopalyan, 2024).

კვლევის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ დღეს პოლიტიკის დღის წესრიგში ვხედავთ საგარეო პოლიტიკური კურსების ,,როტაციას". 2020 წლის მთიანი ყარაბაღის მეორე ომმა სომხეთისთვის და 2022 წლის უკრაინა-რუსეთის ომმა საქართველოსთვის შექმნა ,,კრიტიკული მიჯნა" ორივე სახელმწიფოს ელიტამ გადააფასა იქამდე არსებული სტრატეგიული მოკავშირეების მოცემულობა. საქართველოს პოლიტიკური მოცემულობა ფორმირდება შემდეგნაირად, რომ ოფიციალური თბილისის პოზიცია ე.წ ,,სტრატეგიულ ჰეჯირების" მიმართულებით ხორციელდება. ხოლო შიდა აქტორების მიერ ფასდება, როგორც პრაგმატიზმი. რეალურად კი, ქვეყნის პოლიტიკური კურსის დისტანცირებას გულისხმობს დასავლური ვექტორისგან. საპირწონედ, სომხეთის ელიტისა და ოფიციალური ერევნის პოზიცია მიმართულია დასავლეთისაკენ და ცდილობს ევროატლანტიკურ სტრუქტურებს დაუახლოვდეს. ფაქტობრივად, საქართველომ და სომხეთმა საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსები ,,გაცვალეს" და შეცვლილია შიდა აქტორების, ანუ პოლიტიკური ელიტების დამოკიდებულებებიც საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პოლიტიკური ძვრების მიმართ. ცხადია, რომ ორივე ქვეყნის პოლიტიკის ამოსავალი წერტილი და ინდიკატორი სხვადასხვაა, სწორედ აღნიშნული საკითხის ანალიზს ეთმობა წინამდებარე კვლევა, რომლის ქვაკუთხედადაც ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია წარმოადგენს. გიდეონ როუზის ნაშრომში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა არ არის მხოლოდ შედეგი ძალთა ბალანსისა. ნეოკლასიკური რეალიზმი გვთავაზობს ,,გადამცემი სარტყლის" მოდელს, რომელიც უარყოფს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურულ დეტერმინიზმს. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, საერთაშორისო სტიმულები პირდაპირ და ავტომატურად არ გარდაიქმნებიან სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ ქცევად. გარე გავლენები შიდა აქტორების მიერ ფილტრირდება და საბოლოოდ გარდაიქცევა პოლიტიკურ კურსად. გიდეონ როუზის (Rose, 1998, pp. 152-154) კონცეფციით, ქვეყანათა პოლიტიკური ელიტების სუბიექტური აღქმები და ძალაუფლების შენარჩუნების მოტივი განსაზღვრავს, თუ როგორ მოხდება გარე საფრთხეების ინტერპრეტაცია და რა პოლიტიკური კურსი ჩამოყალიბდება საპასუხოდ.

საკვლევ პრობლემას წარმოადგენს, იმ ასპექტების გამორკვევა, თუ რა გარე და შიდა პოლიტიკური მექანიზმების ზეგავლენით ხდება მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ვექტორების ტრანსფორმაცია. კვლევისთვის მნიშვნელოვანია

განისაზღვროს, თუ როგორ ტრანსფორმირდა საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსები გეოპოლიტიკური კრიზისების საპასუხოდ. აქვე, ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, თუ რა როლს თამაშობს ელიტების მიერ უსაფრთხოების გარემოს სუბიექტური აღქმა და ,,რეჟიმის გადარჩენის" მოტივი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ნაშრომი ეყრდნობა ჰიპოთეზას, რომ აღნიშნული პოლიტიკური კურსების ტრანსფორმაცია უმეტესწილად განპირობებულია პოლიტიკური ელიტების მიერ უსაფრთხოების გამოწვევების ხელახალი გადააზრებითა და საერთაშორისო სისტემაში ძალთა ბალანსის ცვლილებებზე რეაგირების მცდელობით.

თეორიული ჩარჩო

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ კურსები სტრუქტურული რეალიზმის ფარგლებში განიხილებოდა. კენეთ უოლცი (Waltz,1979) ამბობდა, რომ ძალთა განაწილება იყო ის მთავარი დეტერმინანტი, რომელიც აიძულებდა სახელმწიფოებს მიემართათ ან ბალანსირების, ან მიკედლების პოლიტიკისთვის. თუმცაღა უოლცისეული ახსნა ვერ ესადაგება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მსგავსი უსაფრთხოების რისკების წინაშე მყოფი სახელმწიფოები განსხვავებულ სტრატეგიებს ირჩევენ. სწორედ აღნიშნული თეორიული ვაკუუმის შესავსებად წინამდებარე კვლევა ეყრდნობა ნეოკლასიკური რეალიზმის ჩარჩოს.

გიდეონ როუზის განმარტებით, ნეოკლასიკური რეალიზმი სისტემურ დეტერმინიზმს უარყოფს და ,,გადამცემი სარტყლის" მოდელს გვთავაზობს. საერთაშორისო სტიმულები წარმოადგენენ ,,დამოუკიდებელ ცვლადს", ხოლო პოლიტიკური შედეგი - ,,დამოკიდებულ ცვლადს" სწორედ მათ შორის როუზი გამოყოფს ,,გადამცემ სარტყელს", რომელშიც ერთიანდებიან ,,შუამავალი ცვლადები" (Rose, 1998, pp. 152-154). ფაქტობრივად, ნეოკლასიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სტიმულები შიდა სახელმწიფოებრივ სისტემაში მუშავდება პოლიტიკური ელიტების აღქმების, დამოკიდებულებებისა და ინტერესების საფუძველზე. კვლევისთვის კრიტიკული

მნიშვნელობისაა ჯეფრი ტალიფეროს მოსაზრება. ტალიფერო (2006) ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ გარე საფრთხეების საპასუხოდ სახელმწიფოს პოლიტიკა დამოკიდებული იყო მმართველი ელიტის აღქმებზე. აქვე გამოყოფდა, რომ ელიტების მოტივად ხშირად ,,რეჟიმის გადარჩენა" ისახებოდა (Taliferro, 2006). საკითხის განხილვისას ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, მიმოვიხილოთ თეორიული ჩარჩო, რადგან აღნიშნული მოსაზრებები მნიშვნელოვანია სომხეთისა და საქართველოს შემთხვევების შესწავლისას. აღნიშნული თეორიული აქცენტი საშუალებას გვაძლევს უკეთ გავაანალიზოთ, თუ როგორ მოახდინეს ამ ორი ქვეყნის ელიტებმა 2020-2022 წლების გეოპოლიტიკურ ფაქტორებთან (ყარაბაღის მეორე ომი და უკრაინის ინტერვენცია) საკუთარი პოლიტიკური კურსის ცვლილება.

ამრიგად, ნეოკლასიკური რეალიზმი გვთავაზობს მნიშვნელოვან ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რათა სწორად დავინახოთ მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი ცვლადებით ფორმირებული სტრატეგიული არჩევანი.

ლიტერატურის მიმოხილვა

მცირე სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ანალიზი ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და საკამათო მიმართულებას წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ მანევრთა განხილვა კი მეტად უფრო კომპლექსურია. აღნიშნული რეგიონი მყარი თეორიული ჩარჩოს გარდა ეგზისტენციალურ მნიშვნელობას ანიჭებს იდენტობის პოლიტიკას. ,,როგორც კაკაჩია და მარკაროვი (2015) აღნიშნავენ, შესაბამისად თემის განხილვისას ნეოკლასიკური რეალიზმის სკოლას აუცილებელია იდენტობის პოლიტიკის გავლენაც დავურთოთ. ისინი აღნიშნავენ, რომ საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკური დივერგენცია იდენტობისა და ღირებულებების განსხვავებული აღქმით არის განპირობებული. (Kakachia & Markarov 2015).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს შემთხვევა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში პოზიციონირებდა, როგორც რეგიონის ერთადერთი დასავლურ შუქურად და თავს მიაკუთვნებდა ევროპული ოჯახების რიგს. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ტრაექტორიის შესწავლისას 21-ე საუკუნეში, ჯერმანი, კაკაჩია და ჯონსის ერთობლივი ნაშრომი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს საგარეო კურსი მუდამ განიცდის

ტრანსფორმაციას, შიდაპოლიტიკური რყევებისა და საერთაშორისო სისტემის ცვლილებათა პარალელურად (German, et al., 2017). საქართველოს პოლიტიკის შეფასებისას, დავით დარჩიაშვილი (Darchaishvili, 2016) საუბრობდა, რომ საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა დაფუძნებული იყო ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხეზე. სწორედ ეს აიძულებდა თბილისს, რომ უსაფრთხოების ქოლგა მოეძებნა დასავლეთის მიმართულებით. ,, მნიშვნელოვანი იყო ევროპული იდენტობა, რომელიც ,,საშვის“ როლს ასრულებდა სტრუქტურებში ინტეგრაციისას.” (Kakachia et al., 2015).

ნახსენები ტრანსფორმაციის გამოვლინებას საქართველოში 2012 წლიდან, ,,სტრატეგიული ჰეჯირების“ (Lebanidze, 2020) სახით გამოიკვეთა , რასაც სტივენ ჯონსი (Jones, 2021) საქართველოს დასავლური ვექტორიდან მოწყვეტის წინაპირობად განიხილავდა. უკრაინაში რუსეთის ინტერვენციამ გარკვეულწილად დიდი როლი ითამაშა ქვეყნის პოლიტიკური კურსის ტრანსფორმაციაში. თამარ იაკობაძე და შალვა ძებისაშვილი საკუთარ კვლევაში აღნიშნულ ფაქტორებს უსვამენ ხაზს და მიაჩნიათ რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველოს ტრადიციული ,,ჰეჯირება“ გადაიზარდა ,,დეფენზიურ ნეიტრალიტეტში“ (Iakobidze & Dzebisashvili, 2023). სწორედ ამ იდეურ ხაზსვე ამყარებს ბიძინა ლებანიძის ანალიზი (Lebandze, 2024), რომელიც საქართველოს პოლიტიკას ,,სტრატეგიული ჰეჯირების“ შემდეგ ,,პრაგმატულ მულტივექტორიალიზმს“ უწოდებს. ამას მოწმობს პოლიტიკური კავშირების გაძლიერება არადასავლურ აქტორებთან. ფაქტობრივად, აღნიშნული შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც მმართველი ელიტის მცდელობა დააბალანსოს დასავლური სტიმულები და შეინარჩუნოს ავტონომია, რაც ნეოკლასიკური რეალიზმის გამოვლინებად შეგვიძლია განვიხილოთ. კაკაჩია და ლებანიძე (2025) რეგიონში ცვლილებებთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მონოვექტორული საგარეო პოლიტიკიდან ,,პრაგმატულ მულტივექტორიალიზმის” ფაზაში გადავიდნენ. ორივე სახელმწიფო ცდილობს გამოიყენოს მულტივექტორული ჰეჯირება. საქართველოს შემთხვევაში ეს გამოხატულია ,,სტრატეგიულ ამბივალენტობაში“ჩინეთთან პარტნიორობა დასავლეთის ალტერნატიულ საყრდენად მოიაზრება, ხოლო სომხეთის შემთხვევაში რუსეთზე დამოკიდებულების ჩანაცვლებას დასავლურ აქტორებთან თანამშრომლობით. (Kakachia & Lebanidze, 2025).

საქართველოს პოლიტიკაზე საუბრისას ჯონსი ,,სტრატეგიულ გაუცხოებას“ უწოდებს (Jones, 2024), რაც ერთ დროს „უსაფრთხოების ქოლგად“ აღქმულ დასავლეთს გვაშორებს. 2023 წელს მიღებული კანდიდატის სტატუსი, რომელსაც წესით უნდა მოჰყოლოდა ჰარმონიზაცია ევროკავშირის პოლიტიკასთან დღეს სხვა სურათს გვთავაზობს პოლიტიკურ დღის წესრიგში. შიდა ელიტების მიერ არადასავლურ აქტორებთან ურთიერთობასა და დასავლური პოლიტიკური გავლენების შემცირებას, საბოლოო ჯამში ,,სტრატეგიულ ამბივალენტობამდე“ (Lebanidze, 2024) მივყავართ. საქართველოსგან განსხვავებით, სადაც პროდასავლური მიმართულება ათეული წლების განმავლობაში ვითარდებოდა და ბოლო პერიოდში შენელდა, რეგიონული მეზობლის, სომხეთის შემთხვევაში, პირიქით გააქტიურდა. სომხეთის მაგალითი რადიკალურად განსხვავებულ საგარეო პოლიტიკური კურსის ევოლუციას აღწერს. ნერსეს კოპალიანი (Kopalyan, 2022) სომხეთის თავდაპირველ მდგომარეობას კი ,,უსაფრთხოების პატრონაჟის“ მოდელს უკავშირებდა. CSTO-ში გაწევრიანებამ სომხეთი რუსეთს მეტად მიაჯაჭვა და არსებული იდეა, რომ სწორედ რუსეთი იყო ერთადერთი გარანტი ქვეყნის უსაფრთხოებისა, პოლიტიკური ვექტორით გააფორმა. კოპალიანი საუბრობს, რომ ქოჩარიანის ადმინისტრაციამ სომხეთი დაასუსტა და რუსეთის გავლენა მეტად გააძლიერა. 2013 წელს სომხეთ-ევროკავშირის მოლაპარაკებები სწორედ, რომ ნათელ მაგალითს წარმოადგენდა და სარგსიანის ადმინისტრაციის ერთგულება რუსეთის მიმართ არ დასმულა კითხვის ნიშნის ქვეშ. თუმცაღა სტატიაში ვეცნობით, რომ ხავერდოვანი სომხეთისა და მისი ადმინისტრაციის პოლიტიკა შეცვლილია და გათავისუფლებულია ვასალური გავლენისგან. „სომხეთი აპირებს განახორციელოს ისეთი დამოუკიდებელი პოლიტიკა, როგორსაც მისი სამხრეთ კავკასიელი მეზობლები ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ახორციელებდნენ“ (Kopalyan, 2022). კრიტიკულ გარდატეხად გვევლინება მთიანი ყარაბაღის მეორე ომი, რომელმაც სომხეთის ვექტორი ახალი მიმართულებით დააფორმულირა ,,სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის 2020 წლის ომისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების ფონზე, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანის მიერ 2023 წლის სექტემბერში რეგიონზე სრული კონტროლის დამყარებისა და ყარაბაღელი სომხების რეგიონიდან გასვლის შემდეგ, რეგიონის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეიცვალა. “ (Neset et al. 2023; Kakabadze 2024; ფრანცისკა სმოლნიკი (2024)). ერთ დროს რუსეთზე დამოკიდებული

სომხეთი თავისუფალ დემოკრატიულ ნაბიჯებს დგამს დასავლეთისკენ. სომხეთისთვის ერთ დროს უსაფრთხოების გარანტი რუსეთი ომის დროს უმოქმედო აღმოჩნდა, CSTO – ს გავლენა კი ნულოვანი. ფაქტობრივად, სომხეთის ელიტამ გადააფასა აღქმები . საინტერესოა ბოლოდროინდელი მოვლენები, მაგალითად - 2025 წლის 2 დეკემბრის ,,სომხეთ-ევროკავშირის სტრატეგიული დღისწესრიგის" ხელშეკრულება. საქართველოსა და სომხეთის შეპირისპირება პოლიტიკური კურსის ,,გაცვლას" წარმოადგენს. სომხეთი ვესტერნიზაციის პოლიტიკისკენ იხრება, სურს რუსეთისგან გამიჯვნა. დასავლეთს აღიქვამს, როგორც ახალ გარანტსა და შესაძლებლობას, აღნიშნული კი ელიტის ინტერესებს ემთხვევა. რაც შეეხება საქართველოს, რუსეთის გავლენა გარკვეულწილად შენარჩუნებულია. დასავლეთის მოთხოვნები არ ემთხვევა ელიტი ხედვებს, რადგან საფრთხე ექმნება მათი ძალაუფლების სტატუს-კვოს. შესაბამისად ვესტერნული ვექტორი გაყინულია. საბოლოო ჯამში, ვხედავთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს შიდა ელიტურ პოზიციებს. საქართველოს მაგალითზე ქვეყნის იდენტობა ევროპული დემოკრატიის იდეას აღარ ებმის, იგი პოზიციონირდა, როგორც სუვერენიტეტის დამცველი, აღნიშნული კი პოლიტიკურ ელიტას მანევრირების შესაძლებლობას აძლევს. სომხეთი კი აქტიურად შემობრუნდა დასავლეთისკენ და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ყველაზე აქტიურ ქვეყანად გვევლინება დასავლეთთან დაახლოების გზაზე. ამრიგად, ქვეყანათა პოლიტიკური კურსები შიდა პოლიტიკური ხედვების ანარეკლია, რომელზეც ცხადია უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენენ საგარეო ფაქტორები, როგორც ნახსენები ,,დამოუკიდებელი ცვლადები", მაგრამ ელიტათა ხედვები მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენენ უშუალოდ პოლიტიკის წარმართვის არქიტექტურაში.

სომხეთის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა პერიოდში ხშირად განიხილება როგორც მცირე სახელმწიფოს მიერ სტრუქტურული შეზღუდვების პირობებში მანევრირების კლასიკური მაგალითი. აკადემიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს სომხეთის საგარეო ვექტორის ფორმირებას, მათ შორის უსაფრთხოების გარემოს, გეოპოლიტიკურ კონტექსტს, შიდა პოლიტიკურ დინამიკასა და ღირებულებით არჩევანს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ანალიტიკური წვლილი შეაქვთ Kuchins, Mankoff და Backes-ის (2016) ნაშრომს, ასევე

Iskandaryan-ის (2020) კვლევას, რომლებიც სომხეთის საგარეო პოლიტიკას განსხვავებული, თუმცა ურთიერთმიმართებითი პერსპექტივებიდან განიხილავენ.

Kuchins, Mankoff და Backes (2016) სომხეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას განიხილავენ ფართო ევროაზიული გეოპოლიტიკური გარდაქმნების კონტექსტში. ავტორების მიხედვით, სომხეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული არის უსაფრთხოების საკითხი, განსაკუთრებით მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე. აღნიშნული კონფლიქტი არა მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური გამოწვევაა, არამედ სომხეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანის სტრუქტურული ჩარჩოც, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ქვეყნის სტრატეგიულ ალტერნატივებს.

ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სომხეთის დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე უსაფრთხოების სფეროში არ უნდა იქნას აღქმული როგორც მხოლოდ იდეოლოგიური ან ისტორიული არჩევანი. მათი შეფასებით, ეს დამოკიდებულება უფრო მეტად პრაგმატული რეაქციაა რეგიონულ იზოლაციაზე, თურქეთთან და აზერბაიჯანთან დახურულ საზღვრებზე და სამხედრო საფრთხეებზე. ამგვარად, სომხეთის საგარეო პოლიტიკა ფორმირდება არა გლობალურ ძალთა ბალანსში აქტიური მონაწილეობის სურვილით, არამედ გადარჩენისა და სტაბილურობის შენარჩუნების ლოგიკით (Kuchins et al., 2016).

ამავე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სომხეთის მცდელობაზე, შეინარჩუნოს ურთიერთობები დასავლურ სტრუქტურებთან რუსეთის დომინანტური როლის პირობებში. ავტორები აღნიშნავენ, რომ სომხეთის ხელისუფლება გარკვეული პერიოდების განმავლობაში ცდილობდა საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაციას, მათ შორის ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებას, თუმცა ეს მცდელობები მუდმივად ექცეოდა უსაფრთხოების პრიორიტეტების ჩრდილქვეშ. განსაკუთრებით სიმბოლურად აღიქმება 2013 წელს სომხეთის გადაწყვეტილება, უარი ეთქვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე და შეუერთდეს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს, რაც ავტორების შეფასებით ნათლად აჩვენებს უსაფრთხოების ფაქტორის პრიმატს ღირებულებით და ეკონომიკურ არგუმენტებზე.

Iskandaryan (2020) სომხეთის საგარეო პოლიტიკას განსხვავებული ანალიტიკური ჩარჩოდან განიხილავს და ყურადღებას ამახვილებს ღირებულებებსა და სტრუქტურულ შეზღუდვებს შორის არსებულ დაძაბულობაზე. ავტორის მიხედვით, სომხეთის საგარეო პოლიტიკა მუდმივად მოძრაობს ორ პოლუსს შორის: ერთი მხრივ, დასავლურ ღირებულებებზე, დემოკრატიზაციასა და რეფორმებზე ორიენტირებულ რიტორიკას შორის, ხოლო მეორე მხრივ - მკაცრ გეოპოლიტიკურ რეალობასა და უსაფრთხოების აუცილებლობებს შორის.

Iskandaryan ხაზს უსვამს, რომ სომხეთის პოლიტიკური ელიტები ხშირად იყენებენ ღირებულებით დისკურსს როგორც საგარეო პოლიტიკის ლეგიტიმაციის ინსტრუმენტს, თუმცა პრაქტიკულ დონეზე გადაწყვეტილებები მაინც სტრუქტურული შეზღუდვებითაა განპირობებული. მისი შეფასებით, ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2018 წლის „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ გააძლიერა დემოკრატიული და დასავლური რიტორიკა, თუმცა საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორი არსებითად არ შეცვლილა.

ავტორის აზრით, ეს ფაქტი ადასტურებს, რომ სომხეთის საგარეო პოლიტიკა ნაკლებად არის დამოკიდებული ხელისუფლების ცვლილებაზე და უფრო მეტად განპირობებულია გრძელვადიანი უსაფრთხოების აღქმებითა და რეგიონული კონტექსტით. განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა იმას, რომ სომხეთის საგარეო პოლიტიკაში „არჩევანი“ ხშირად ილუზორულია, რადგან არსებული გეოპოლიტიკური გარემო მკაცრად ზღუდავს ალტერნატივებს. ამგვარად, სომხეთის საგარეო პოლიტიკა უფრო მეტად ადაპტაციურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ტრანსფორმაციულს.

ორივე ნაშრომის შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ავტორები თანხმდებიან სომხეთის საგარეო პოლიტიკის სტრუქტურულ შეზღუდვებზე, თუმცა განსხვავდებიან აქცენტებში. Kuchins et al. (2016) უფრო მეტად ფოკუსირდებიან უსაფრთხოების და გეოპოლიტიკური ფაქტორების როლზე, მაშინ როცა Iskandaryan (2020) ყურადღებას ამახვილებს ღირებულებით დისკურსსა და პრაქტიკულ პოლიტიკას შორის არსებულ დისონანსზე. ამ განსხვავების მიუხედავად, ორივე წყარო ადასტურებს, რომ სომხეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ლოგიკა განპირობებულია არა გარე აქტორების პირდაპირი ზეწოლით, არამედ შიდა ელიტების მიერ აღქმული უსაფრთხოების აუცილებლობებითა

და ინსტიტუციური შეზღუდვებით. ,,ცვალებად გეოპოლიტიკურ ლანდშაფტთან მოსარგებად, ერევანმა საკუთარი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირება გადაწყვიტა, მათ შორის ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერებით. მეორე მხრივ, კანდიდატის სტატუსის მიღების მიუხედავად, საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობა გაურკვეველ ფაზაში შევიდა, რაც განსაკუთრებით უცხოური გავლენების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი კანონის მიღებამ და რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში ნავიგაციის თბილისის გაურკვეველმა მცდელობამ გამოიწვია" (Kakachia et al. 2024; სმოლნიკი, 2024).

თუკი ათწლეულების განმავლობაში საქართველო პოზიციონირებდა მთავარ დემოკრატიულ აქტორად რეგიონში მეტიც, როგორც ფრანცისკა სმოლნიკი (2024) ამბობს, საქართველო სომხეთისთვის წარმოადგენდა ევროატლანტიკურ სივრცეში გამავალ დერეფანს , დღეს ეს დინამიკა იცვლება. იდენტობა და ღირებულებები კი მხოლოდ მაშინ ხდება საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელი, როდესაც ისინი ელიტის მიერ აღქმულ უსაფრთხოების ინტერესებთან მოდის თანხვედრაში.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგიური არქიტექტურა ეფუძნება თვისებრივი კვლევის პარადიგმას. კვლევის მიზანია არა სტატიკური განზოგადება, არამედ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღმა არსებული აღქმების შესწავლა , შესაბამისად თვისებრივი მიდგომა საუკეთეო ინსტრუმენტს წარმოადგენს სისტემური და შიდა სახელმწიფოებრივი ცვლადების განხილვისათვის.

წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია დოკუმენტური ანალიზი, ქვეყანათა საგარეო პოლიტიკური ვექტორების ევოლუციათა უკეთ შესაფასებლად. კვლევის ემპირიულ ბაზისს წარმოადგენს ნახევრადსტრუქტურირებული ექსპერტული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან, კერძოდ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროს მკვლევართან და სომხეთის საკითხების მკვლევარ და პოლიტოლოგთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, კვლევის გარკვეული მეთოდოლოგიური შეზღუდვა დროის ინტერვიუების რაოდენობასთან დაკავშირებით. წინამდებარე ნაშრომის თვისებრივი პარადიგმიდან გამომდინარე, აქცენტი გაკეთდა არა რესპონდენტთა რაოდენობრივ მრავალფეროვნებაზე, არამედ ექსპერტული ცოდნის

სიღრმეზე. მათი ხედვა ფუნდამენტური მნიშვნელობის იყო ,რათა ფაქტობრივი მასალის გარდა გაგვეზიარებინა ექსპერტული ხედვები საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

კვლევის ძირითად სტრატეგიას წარმოადგენს შედარებითი შემთხვევის ანალიზი, რომელიც ფოკუსირებული იყო საქართველოსა და სომხეთზე. აღნიშნული მიდგომა საშუალებას გვაძლევს ნეოკლასიკური რეალიზმის პრიზმიდან გავაანალიზოთ, თუ როგორ ახდენს ერთი რეგიონის ორი მცირე სახელმწიფო საერთაშორისო სისტემურ სტიმულზე ადაპტაციას შიდა სახელმწიფოებრივი ფილტრების მეშვეობით.

კვლევის შედეგები

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა შედარებითმა ანალიზმა და ექსპერტულმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია არის მრავალფაქტორიანი, დინამიკური პროცესის შედეგი, რომელშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს შიდა პოლიტიკური ელიტების ცვალებადი ინტერესები, ინსტიტუციური ლოგიკა, უსაფრთხოების აღქმების ევოლუცია და საზოგადოებრივი განწყობები. მიღებული შედეგები ადასტურებს კვლევის საწყის ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება უფრო მეტად შიდა ფაქტორებით არის განპირობებული, ვიდრე გარე აქტორების პირდაპირი ზეწოლით და აგრეთვე ამყარებს ნეოკლასიკური რეალიზმის დაშვებას, რომ საგარეო პოლიტიკური კურსები შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროდუქტია.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო და სომხეთი საგარეო პოლიტიკის განსხვავებულ მოდელებს აყალიბებდნენ. საქართველოს შემთხვევაში დასავლური ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოზე ორიენტაცია - სახელმწიფო იდენტობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრალურ ელემენტად ჩამოყალიბდა. დასავლური ინსტიტუტები აღიქმებოდა როგორც დემოკრატიული კონსოლიდაციისა და უსაფრთხოების გარანტი. სწორედ აღნიშნული საკითხი მიმოვიხილეთ ექსპერტული ინტერვიუს ფარგლებშიც და ექსპერტის მხრიდანაც გაესვა ხაზი ოფიციალური თბილისის მზაობას ყოფილიყო ევროპული ოჯახის ნაწილი. ,,საქართველო საკუთარ თავს მოიაზრებდა ,სხვადასხვა დოზით, მაგრამ როგორც დასავლეთის ნაწილს , მაშინაც კი , როდესაც შევარდნაძეს მოუწია საქართველოს

სუვერენიტეტის საკმაო ნაწილის დათმობა რუსეთისთვის. 1990-იანი წლების შუიდან კი დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა რუსეთის დასაბალანსებლად დასავლეთთან ურთიერთობების მშენებლობით". (ინტერვიუ #2, 2025).

სომხეთის საგარეო პოლიტიკა კი საპირისპირო ლოგიკით ვითარდებოდა. რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევების, განსაკუთრებით მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის პირობებში, ქვეყნის პოლიტიკური ელიტებისთვის პრიორიტეტული გახდა რუსეთის ფედერაციასთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნა. შედეგად, სომხეთის საგარეო პოლიტიკა ჩამოყალიბდა როგორც უსაფრთხოებაზე ორიენტირებული, თუმცა ერთპოლუსზე დამოკიდებული მოდელი.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი შედეგი არის ე.წ. „საგარეო პოლიტიკის შეცვლის'' ტენდენციის გამოვლენა. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს საგარეო პოლიტიკაში შეინიშნება დასავლური ინტეგრაციის დისკურსის შესუსტება და მრავალვექტორული მიდგომის გაძლიერება. როგორც ექსპერტულ ინტერვიუში რესპოდენტი აღნიშნავს, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ,,პრაგმატიზაცია" ასახავს ელიტის მცდელობას ,,არ გააღიზიანოს" მოსკოვი, რადგან ქვეყანას აქვს დასაკარგი ეკონომიკური და რეგიონული სტაბილურობის თვალსაზრისით (ინტერვიუ #1, 2025). მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური რიტორიკა კვლავ დასავლურ კურსს უსვამს ხაზს, რეალურ პოლიტიკურ პრაქტიკაში გაჩნდა გადაწყვეტილებები, რომლებიც ანალიტიკოსების ნაწილმა აღიქვა როგორც თვითიზოლაციური ან ანტიდასავლური.

ამავე პერიოდში სომხეთში ფიქსირდება საპირისპირო დინამიკა. 2020 წლის შემდეგ, განსაკუთრებით უსაფრთხოების კრიზისების ფონზე, სომხეთის პოლიტიკურმა ელიტებმა დაიწყეს რუსეთის, როგორც ერთპიროვნული უსაფრთხოების გარანტის, როლის გადახედვა. ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სომხური ელიტისთვის რუსული ფედერაცია ,,გარანტიდან" ,,უსაფრთხოების რისკად" ტრანსფორმირდა. ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ 2020 წლის ომმა სომხეთს დაანახა რუსული უსაფრთხოების მოდელის ფიქტიურობა. სომხეთი ახლა დგამს რადიკალურ ნაბიჯებს რუსეთისგან დისტანცირებისთვის, რადგან მან ,ფაქტობრივად, დაკარგა ის უსაფრთხოების გარანტია, რასაც მოსკოვი სთავაზობდა (ინტერვიუ #1,2025). შედეგად, ქვეყანა აქტიურად ცდილობს ევროკავშირთან, აშშ-სთან და სხვა დასავლურ

ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც ადრე სომხეთის საგარეო პოლიტიკისთვის მეორეხარისხოვანი მიმართულება იყო.

კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციაში გადამწყვეტ როლი აქვთ შიდა პოლიტიკური ელიტებს. საქართველოს შემთხვევაში პოლიტიკური ელიტების ნაწილი დასავლურ ინტეგრაციას განიხილავს არა როგორც უპირობო ღირებულებით არჩევანს, არამედ როგორც მოლაპარაკების ინსტრუმენტს. ეს აისახება საგარეო პოლიტიკის დისკურსის ცვლილებაში, სადაც სულ უფრო ხშირად გვხვდება „პრაგმატიზმის“, „ეროვნული ინტერესების“ და „სუვერენული არჩევანის“ ნარატივი.

სომხეთში კი ელიტების მხრიდან უსაფრთხოების აღქმების ცვლილებამ და პოლიტიკური პასუხისმგებლობის გადანაწილებამ გამოიწვია საგარეო პოლიტიკის ახალი ხედვების ჩამოყალიბება. კვლევამ აჩვენა, რომ დასავლეთთან დაახლოებისკენ გადადგმული ნაბიჯები არ არის მხოლოდ გარე აქტორების წახალისების შედეგი, არამედ წარმოადგენს შიდა ელიტების მიერ არსებული უსაფრთხოების მოდელის კრიტიკულ გადაფასებას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია განპირობებულია როგორც შიდა პოლიტიკური დინამიკით, ისე გარე ძალთა კონკურენციით. საქართველო და სომხეთი, როგორც სამხრეთ კავკასიის ორი სტრუქტურულად მსგავსი, თუმცა პოლიტიკურად განსხვავებული ქვეყანა, წარმოადგენენ საინტერესო შემთხვევებს იმის შესასწავლად, თუ როგორ ახდენენ შიდა ელიტები, ინსტიტუციური გარემო და საზოგადოებრივი განწყობები საგარეო პოლიტიკის მოდელირებას გლობალური ძალების - რუსეთის, ევროკავშირისა და აშშ-ის - ზეგავლენის პირობებში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ორივე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა თავდაპირველად რეაქტიული ხასიათის იყო და დიდწილად განპირობებული იყო უსაფრთხოების დაუცველობით, ეკონომიკური სისუსტითა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სიმწირით. თუმცა დროთა განმავლობაში საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკური ტრაექტორიები მნიშვნელოვნად დაშორდა ერთმანეთს. საქართველოს შემთხვევაში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ევროატლანტიკური

ინტეგრაციისკენ მიმართული კურსი, მაშინ როცა სომხეთმა აირჩია „ჰეჯირების“ პოლიტიკა, რომელიც სხვადასხვა გარე ძალასთან პარალელური თანამშრომლობის შენარჩუნებას გულისხმობს (Hovhannisyan et al., 2019).

ინსტიტუციური გარემოც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. Verulava, T (2025) სოციალური პოლიტიკისა და საპენსიო სისტემების ტრანსფორმაციის ანალიზისას ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების ხარისხი პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკური ელიტების სტრატეგიულ არჩევანს. საქართველოს შემთხვევაში ინსტიტუციური რეფორმები ხშირად თანხვედრაში იყო ევროკავშირთან დაახლოების პროცესთან, რაც საგარეო პოლიტიკის დასავლურ ვექტორს ამყარებდა. სომხეთში კი ინსტიტუციური ცვლილებები უფრო ფრთხილი და ნაკლებად კონფრონტაციული იყო რუსეთის ინტერესებთან მიმართებით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს შიდა ინსტიტუციური ინტერესებისა და უსაფრთხოების აღქმების გავლენაზე საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

საზოგადოებრივი განწყობებიც განსხვავებულ როლს თამაშობს ორ ქვეყანაში. საქართველოში საზოგადოებრივი მხარდაჭერა ევროპული ინტეგრაციის მიმართ სტაბილურად მაღალია, რაც პოლიტიკურ ელიტებს საგარეო პოლიტიკის დასავლური კურსის შენარჩუნების დამატებით ლეგიტიმაციას აძლევს. სომხეთში საზოგადოებრივი განწყობები უფრო კომპლექსურია და ისტორიული იდენტობის, ეკლესიისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. როგორც Lint (2009) სტატიაში ვხედავთ, სომხური იდენტობა ისტორიულად ჩამოყალიბდა რელიგიური და კულტურული თვითშეგნების გარშემო, რაც დღემდე აისახება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და საგარეო პოლიტიკის აღქმაზე.

გარე აქტორების როლი ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტია. რუსეთი კვლავ რჩება უსაფრთხოების მთავარ მოთამაშედ სომხეთში, თუმცა 2018 წლის „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ სომხეთის საგარეო პოლიტიკაში გაჩნდა მეტი მოქნილობის ნიშნები და დასავლეთთან თანამშრომლობის მცდელობა. მიუხედავად ამისა, როგორც Hovhannisyan (2019) აღნიშნავს, სომხეთის პოლიტიკა უფრო მეტად შიდა ბალანსის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული, ვიდრე რომელიმე გარე ძალის ღია

არჩევანზე. საქართველოს შემთხვევაში კი რუსეთის ფაქტორი უფრო კონფლიქტური და შემზღუდავია, რაც დასავლური კურსის კიდევ უფრო გამყარებას უწყობს ხელს.

რეგიონული იდენტობისა და თანამშრომლობის საკითხებზე ყურადღებას ამახვილებს Central Asian Survey-ში გამოქვეყნებული კვლევა, რომელიც სამხრეთ კავკასიას აღწერს როგორც რეგიონს, სადაც „კარგი მეზობლობისა“ და „დისტანციური ნათესაობის“ პარადოქსი თანაარსებობს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ საგარეო პოლიტიკის არჩევანი ხშირად შიდა პოლიტიკური კონსტრუქციის შედეგია და არა მხოლოდ გარე ზეწოლის. (German, T. (2012).

ამრიგად, საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკური ტრანსფორმაციის შედარებითი ანალიზი ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც საგარეო პოლიტიკური კურსების ცვლილება უმეტესწილად განპირობებულია შიდა პოლიტიკური ელიტების პრიორიტეტების, ინსტიტუციური ინტერესებისა და უსაფრთხოების აღქმების ცვლილებით. გარე აქტორები მნიშვნელოვან კონტექსტს ქმნიან, თუმცა საბოლოო არჩევანი მაინც შიდა პოლიტიკური დინამიკის ფარგლებში ფორმირდება.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა დოკუმენტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ინსტიტუციური გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. საქართველოში საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად ცენტრალიზებულია, რაც ზრდის პოლიტიკური ელიტების ინდივიდუალური ხედვების გავლენას სახელმწიფო კურსზე, შესაბამისად ,,სახელმწიფო ავტონომიის ხარისხსს“. სომხეთის შემთხვევაში, ინსტიტუციური რეფორმების შედეგად გამოიკვეთა პარლამენტისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი საგარეო პოლიტიკის დისკურსში. ეს ქმნის უფრო პლურალისტურ გარემოს, სადაც საგარეო პოლიტიკური კურსი ნაკლებად არის დამოკიდებული ერთ პოლიტიკურ ცენტრზე და მეტად ასახავს შიდასახელმწიფოებრივ დებატებს.

მიუხედავად რუსეთის, ევროკავშირისა და აშშ-ის აქტიური ჩართულობისა რეგიონში, მათი გავლენა საგარეო პოლიტიკის ცვლილებაზე უმეტესწილად ირიბია. არც საქართველოსა და არც სომხეთის შემთხვევაში არ დასტურდება გარე აქტორების მიერ

საგარეო კურსის პირდაპირი დიქტატი. სისტემური წნეხი გადის ფილტრაციას შიდა პოლიტიკური ლოგიკით. რუსეთის გავლენა სომხეთში კვლავ შეინიშნება, თუმცა იგი უფრო სტრუქტურული დამოკიდებულებების შედეგია, ვიდრე აქტიური პოლიტიკური კარნახის. საქართველოს შემთხვევაში კი დასავლური ინსტიტუტების გავლენა უფრო მეტად ნორმატიულ და ინსტიტუციურ დონეზე ვლინდება.

კვლევის ერთ-ერთი ცენტრალური შედეგია უსაფრთხოების აღქმის ცვლილება. ორივე ქვეყნის შემთხვევაში საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია მჭიდროდ უკავშირდება უსაფრთხოების ახალი გაგების ჩამოყალიბებას. საქართველო სულ უფრო ხშირად განიხილავს უსაფრთხოებას ეკონომიკური სტაბილურობისა და რეგიონული მშვიდობის კონტექსტში, მაშინ როდესაც სომხეთი ცდილობს სამხედრო უსაფრთხოების მონოპოლიური მოდელის ჩანაცვლებას მრავალპარტნიორული მიდგომით.

ამრიგად, მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა არ არის მხოლოდ გარე ძალთა კონკურენციის პროდუქტი. საქართველოსა და სომხეთის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ შიდა პოლიტიკური პროცესები და ელიტების არჩევანი გადამწყვეტ როლს თამაშობს საგარეო კურსის ფორმირებაში. შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ „საგარეო პოლიტიკის როტაცია“ სამხრეთ კავკასიაში წარმოადგენს არა რეგიონული ანომალიას, არამედ მცირე სახელმწიფოების ადაპტაციურ სტრატეგიას გლობალური გაურკვევლობის პირობებში.

დასკვნა

საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილებების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სამხრეთ კავკასიაში მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ქცევა ბევრად უფრო კომპლექსური და მრავალშრიანია, ვიდრე ამას ტრადიციული, ბინარული აღქმა გვთავაზობს. კვლევამ დაადასტურა ნეოკლასიკური რეალიზმის დაშვება, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არ წარმოადგენს საერთაშორისო სისტემურ წნეხზე პირდაპირ და ავტომატურ პასუხს. გარე პოლიტიკური სტიმულები გადიან შიდა პოლიტიკურ ფილტრებში , სადაც საბოლოო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან ინდიკატორს პოლიტიკური ელიტების აღქმები, ინტერესები და მოტივები თამაშობს. წინამდებარე ნაშრომმა ხაზი გაუსვა იმ მოცემულობას, რომ მცირე

სახელმწიფოთა საგარეო ვექტორი არ არის მხოლოდ საგარეო გავლენის პროდუქტი, არამედ შიდა სახელმწიფოებრივი ცვლადებით ფორმირებული სტრატეგიული კურსი. კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ის მიგნება, რომ საქართველოსა და სომხეთის ბოლო პერიოდის საგარეო-პოლიტიკური ტრანსფორმაციები - საქართველოს შემთხვევაში, დასავლური დისკურსის ეროზია და სომხეთის შემთხვევაში მისი მკვეთრი გააქტიურება მხოლოდ სისტემურ გარემოზე მორგებას არ წარმოადგენს და მნიშვნელოვანია მმართველი ელიტის პოზიცია. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ,,პრაგმატიზაცია" რეალურად ასახავს მმართველი ელიტის მცდელობას შიდა ძალაუფლების კონსოლიდაციის მიზნით. ორივე სახელმწიფო 2008 წლისა და 2020 წლის ომების შემდეგ იმყოფებოდა უსაფრთხოების მოდელების გადაფასების პროცესში. სამხრეთ კავკასიის ორივე ქვეყანა, როგორც უკვე მიმოვიხილეთ თავდაპირველად სხვადასხვა მიმართულებით ეძიებოდა ,,უსაფრთხოების ქოლგას", სომხეთისთვის ეს უმეტესწილად რუსეთი იყო, საქართველოსთვის კი დასავლეთი. დღევანდელი მონაცემებით როლები გაცვლილია. დემოკრატიული ტრანსფორმაციების დღის წესრიგი კი ორივე ქვეყანაში შეცვლილი. ჩატარებულმა ექსპერტულმა ინტერვიუებმა მეტი სიღრმე შემატა რეგიონში მიმდინარე საინტერესო და მნიშვნელოვანი როლების როტაციის მოცემულობას. საქართველოს შემთხვევაში დასავლური ვექტორი გადაიქცა შიდა პოლიტიკური გადარჩენის მექანიზმად, სადაც საგარეო საფრთხეების მართვა ხშირად გამოყენებულია შიდა ოპოზიციური აზრის მარგინალიზაციისათვის.საქართველოს ელიტა ცდილობს შექმნას დასავლეთის ალტერნატიული საყრდენები. სომხეთის შემთხვევაში, გამოვლენილია ,,უსაფრთხოების პატრონაჟის" კრახი. სომხეთის ელიტისთვის CSTO - ს არაეფექტურობა და მისგან გამოწვეული უსაფრთხოების ვაკუუმი გახდა მკვეთრი შემობრუნების მთავარი ფაქტორი, რის შედეგადაც დასავლეთთან დაახლოება ფორმულირდა, როგორც ფუნქციური პასუხი. სომხეთის შემთხვევაში ვექტორული ცვლილება, სწორედ რუსეთის „რისკად" აღქმამ გამოიწვია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მცირე სახელმწიფოები არ არიან საერთაშორისო პოლიტიკის პასიური ობიექტები, არამედ ისინი აქტიურად ადაპტირებენ ძალთა ბალანსის სისტემის მიმართ და ახდენენ საკუთარი პოლიტიკური კურსების მოდელირებას. საქართველოსა და სომხეთის საგარეო პოლიტიკური როტაცია, უნდა განვიხილოთ, როგორც მცირე

სახელმწიფოების სტრატეგიული ადაპტაციის პროცესი გლობალური ძალთა ბალანსის პირობებში. კვლევის მიგნებები ამყარებს მოსაზრებას, რომ მცირე სახელმწიფოთა ქცევის ანალიზისას ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სისტემურ დეტერმინიზმთან ერთად შიდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციური ლოგიკა და ელიტის აღქმების განხილვა.

კვლევა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოთა საგარეო ვექტორი არ წარმოადგენს მხოლოდ გეოპოლიტიკურ მოცემულობას, არამედ არის დინამიკური კონსტრუქტი, რომელიც მუდამ განიცდის ფორმირებას შიდა პოლიტიკური ელიტების ინტერესებისა და გარე სტრუქტურული წნეხის თანაკვეთაზე. სამხრეთ კავკასიის მაგალითი ახალ პერსპექტივას გვთავაზობს, თუ როგორ ახერხებენ სტრატეგიული მანევრირებისა და ,,ჰეჯირების“ პოლიტიკის განხორციელებას დიდ ძალათა კონკურენციის პირობებში.

ბიბლიოგრაფია

1. **სმოლნიკი, ფ. (2024).** *სომხეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა რეგიონული გადაწყობის კონტექსტში და საქართველო-სომხეთის თანამშრომლობის პერსპექტივები* (პოლიტიკის დოკუმენტი No. 45). თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP).
2. **Darchaishvili, D. (2016).** Georgia's Security Sector Reform. In S. Fischer, & H. G. Brauch (Eds.), *Security Sector Reform in Central Asia and the Caucasus* (pp. 120–145). London: Routledge.
3. **German, T. (2012).** 'Good neighbours or distant relatives?' Regional identity and cooperation in the South Caucasus.*Central Asian Survey*, 31(2), 137–151.
4. **German, T., Kakachia, K., & Jones, S. F. (Eds.). (2017).** *Georgia's Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State*. London: I.B. Tauris.
5. **Hovhannisyan, M. (2019).** ARMENIA: Striving for complementarity. In S. Secrieru, & S. Saari (Eds.), *The Eastern Partnership a Decade On: Looking back, thinking ahead* (pp. 84–95). Luxembourg: Publications Office of the European Union.
6. **Iakobidze, T., & Dzebisashvili, S. (2023).** *Defensive Neutrality: Georgia's New Strategic Reality*. Tbilisi: Georgian Institute of Politics (GIP).
7. **Iskandaryan, A. (2020).** *Armenia's Foreign Policy: Where values meet constraints*. Buenos Aires: Consejo Argentino para las Relaciones Internacionales (CARI).
8. **Jones, S. F. (2021).** *Georgia: A Political History Since Independence*. London: I.B. Tauris.
9. **Jones, S. F. (2024).** *Strategic Alienation: Georgia's Foreign Policy Shift and the West*. Tbilisi: Georgian Institute of Politics (GIP).
10. **Kakachia, K., Kakhishvili, L., & Khostaria, T. (2015).** European, Asian, or Eurasian? Georgian identity and the struggle for Euro-Atlantic integration. *Journal of Eurasian Studies*, 6(2), 171–180.
11. **Kakachia, K., & Lebanidze, B. (2024).** Can Small States Reshape Their Regional Identities? Examining Georgia's Cognitive Dissonance between South Caucasus and Eastern Europe. *Nationalities Papers*, 1–15. doi:10.1017/nps.2024.36
12. **Kakachia, K., & Lebanidze, B. (2025).** In-between who? Armenian and Georgian shifting perceptions and geostrategies of inbetweenness amidst EU–Russian power projections. *European Security*, 34(4), 601–623.

13. **Kakachia, K., & Markarov, A. (2015).** Values or Interests? Reflections on Armenia's and Georgia's Foreign Policy Choices. In B. S. Jones (Ed.), *Identity and Foreign Policy in the Middle East and the South Caucasus* (pp. 110–135). London: Routledge.
14. **Kopalyan, N. (2024).** *One Must Pivot Before One Can Hedge: Armenia's New Foreign Policy Independence*. Yerevan: EVN Security Report.
15. **Kuchins, A. C., Mankoff, J., & Backes, O. (2016).** Armenia's Foreign and Security Policy. In *Armenia in a Reconnecting Eurasia: Foreign Economic and Security Interests* (pp. 4–21). Washington, DC: Center for Strategic and International Studies (CSIS).
16. **Lebanidze, B. (2024).** *Georgia's Foreign Policy: Between Strategic Ambivalence and Pragmatic Multivectoralism*. Tbilisi: Georgian Institute of Politics (GIP).
17. **Rose, G. (1998).** Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy. *World Politics*, 51(1), 144–172.
18. **Taliaferro, J. W. (2006).** State Building for Future Wars: Neoclassical Realism and the Internal Balance of Power.*International Security*, 31(1), 464–495.
19. **Van Lint, T. M. (2009).** The Formation of Armenian Identity in the First Millenium. *Church History and Religious Culture*, 89(1/3), 251–278.
20. **Verulava, T. (2025).** Pension system transformation in the South Caucasus: A comparative analysis of Georgia, Armenia and Azerbaijan. *European Journal of Social Security*, 27(1), 55–72.
21. **Waltz, K. N. (1979).** *Theory of International Politics*. New York: McGraw-Hill.